საკრედიტო შენატანების/უმუშევრობის დაზღვევის პირობები VTB Bank UNEMPLOYMENT V1 2020 დანართი N5

1. დაზღვევის საგანი

წინამდებარე დაზღვევა ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუუნარობის ან გარდაცვალების, ასევე იძულებითი უმუშევრობის შემთხვევაში.

2. სადაზღვევო შეთანხმება

მხარეებს შორის წინასწარ შეთანხმებული წინამდებარე დაზღვევის პირობები და სადაზღვევო პოლისი წარმოადგენს ერთიან სადაზღვევო შეთანხმებას.

3. დაზღვევაში მონაწილე მხარეები

3.1. **მზღვეველი** - სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია";

3.2. **დამზღვევი** – სადაზღვევო პოლისში მითითებული ფიზიკური პირი;

3.3. **დაზღვეული** – სადაზღვევო პოლისში მითითებული ფიზიკური პირი, რომლის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ასევე უმუშევრობა დაზღვეულია წინამდებარე პირობების თანახმად;

3.4. **მოსარგებლე** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც წინამდებარე პირობების და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება; ამ შემთხვევაში **სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"**.

4. გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

4.1. **სადაზღვევო შემთხვევა** – დაზღვეულის იძულებითი უმუშევრობა, უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუუნარობა, ან გარდაცვალება;

4.2. **იძულებითი უმუშევრობა** – იძულებით უმუშევრობად ჩაითვლება დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა მხოლოდ ამ პირობების 7.2.1 მუხლში მითითებული მიზეზებით;

4.3. **უბედური შემთხვევა** – თვალსაჩინო გარე ძალების ზემოქმედებით გამოწვეული გაუთვალისწინებელი და უეცარი შემთხვევა, მომხდარი დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, რომელმაც განაპირობა დაზღვეულის სხეულის დაზიანება, ან გარდაცვალება;

4.4. **შრომისუუნარობა** – მხოლოდ უბედური შემთხვევით, ან რაიმე სხვა მიზეზისგან დამოუკიდებლად გამოწვეული სხეულის დაზიანება, რომელიც უბედური შემთხვევის დღიდან გამოიწვევს დაზღვეულის შრომისუნარიანობის დაკარგვას ისე, რომ დაზღვეული ვერ უნდა ახერხებდეს მასზე უშუალოდ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და აღნიშნული დადასტურებულია შესაბამისი ექსპერტის დასკვნით;

4.5. **ჯამური შემოსავალი** – დაზღვეულის დასაბუთებული ჯამური სტაბილური შემოსავალი, რომელიც შედგება ხელფასის და/ან დივიდენდის ან ნებისმიერი სხვა წყაროდან მიღებული თანხებისგან. ჯამური შემოსავალი ანგარიშდება ბოლო 3 თვის განმავლობაში მიღებული ყოველთვიური სტაბილური შემოსავლის საშუალო არითმეტიკულით;

4.6. **გარდაცვალება** - უბედური შემთხვევის დადგომის დღიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში მომხდარი, უშუალოდ ამ უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეულის გარდაცვალება;

4.7. **სადაზღვევო თანხა** – პოლისით გათვალისწინებული მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა;

4.8. **მიმდინარე სადაზღვევო თანხა** – სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის, პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის ნაწილი, რომელიც დარჩა წინა სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურების შემდეგ;

4.9. **სადაზღვევო ანაზღაურება (ანაზღაურების ლიმიტი)** – თანხა, რომელსაც გადაუხდის მზღვეველი მოსარგებლეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას. ყოველთვიური ლიმიტის შერჩევა მოხდება სადაზღვევო პოლისის გაფორმებისას სესხის მიმდინარე გრაფიკის შესაბამისად;

4.10. **სადაზღვევო პრემია** – თანხა, რომელსაც უხდის დამზღვევი/დაზღვეული მზღვეველს დაზღვევის საფასურად;

4.11. **სადაზღვევო პერიოდი** –დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა არის ძალაში. წინამდებარე პირობებით სადაზღვევო პერიოდი მოქმედებს შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული საკრედიტო პერიოდის/ვალდებულებების ამოწურვამდე.

4.12. **მოცდის პერიოდი** – სადაზღვევო პოლისის ძალაში შესვლიდან ათვლილი 3 თვიანი ვადა, რომლის განმავლობაში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევებიც ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

5. პირები, რომლებიც არ ექვემდებარებიან დაზღვევას

5.1. პირები, რომლებიც მუდმივ მოვლას საჭიროებენ ან რომლებიც ფსიქიურად არიან დაავადებულნი, არ ექვემდებარებიან დაზღვევას და არ ჩაითვლებიან დაზღვეულებად, მათ სასარგებლოდ პრემიის გადახდის პირობებშიც კი (პირი, რომელიც მუდმივ მოვლას საჭიროებს, გულისხმობს პირს, რომელიც ყოველდღიური საქმიანობის შესრულებისთვის სხვების დახმარებას საჭიროებს).

5.2. იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული წინამდებარე პირობების 5.1 მუხლით გათვალისწინებულ მდგომარეობაშია დაზღვევის მომენტში, აღნიშნული ხელშეკრულება შეწყდება მზღვეველის მიერ აღნიშნული ფაქტის აღმოჩენის მომენტიდან სადაზღვევო შეთანხმება ჩაითვლება ძალადაკარგულად.

5.3. პირები, რომელთაც არ აქვთ არანაკლებ 6 თვის უწყვეტი დასაქმების სტაჟი ამ დოკუმენტის 4.12. პუნქტში მითითებული მოცდის პერიოდის დასრულების მომენტისთვის. აღნიშნული უნდა დადასტურდეს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით.

6. ტერიტორიული ფარგლები

სადაზღვევო დაფარვა ძალაშია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარი უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუუნარობის, ან გარდაცვალების შემთხვევა ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება შემთხვევის დასარეგულირებლად საჭირო ყველა დოკუმენტაცია და დადასტურდება, რომ დაზღვეული შემთვევის მომენტში დასაქმებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე.

7. დაფარული რისკები

7.1. უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუუნარობა და გარდაცვალება:

7.1.1. დაზღვევით გათვალისწინებული რისკები - წინამდებარე პირობების თანახმად სადაზღვევო შემთხვევად განიხილება უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალება და შრომისუუნარობა, რომელიც გამოიწვევს დაზღვეულზე უშუალოდ დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობას (მიუხედავად იმისა, წყდება თუ არა შრომითი ხელშეკრულება).

7.2. იძულებითი უმუშევრობის დაზღვევა:

7.2.1. დაზღვევით გათვალისწინებული რისკები - იძულებითი უმუშევრობის მიზეზებად ითვლება მხოლოდ დამსაქმებლის მიერ შრომითი კონტრაქტის შეწყვეტა, რომლის მიზეზიცაა:

- ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომელიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას;
- დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან;
- სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;
- დამსაქმებელი ფიზიკური პირის გარდაცვალება;
- დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება;
- ორგანიზაციის რეორგანიზაცია (საშტატო ერთეულის გაუქმება, შემცირება);

შეზღუდვები: იმ შემთხვევაში თუ დაზღვეულს გააჩნია 1-ზე მეტი სამუშაო ადგილი, ან გააჩნია სხვა დასაბუთებული სტაბილური შემოსავლის წყაროები, მაშინ მის მიერ მხოლოდ ერთი სამსახურის დაკარგვა არ ჩაითვლება სადაზღვევო შემთხვევად, თუ მისი ჯამური შემოსავალი არ შემცირდება 30% ან მეტი წილით. ჯამური შემოსავალი ანგარიშდება სადაზღვევო შემთხვევამდე ბოლო 3 თვის განმავლობაში მიღებული დასაბუთებული ყოველთვიური შემოსავლის საშუალო არითმეტიკულით.

8. სადაზღვევო ანაზღაურება

8.1. სადაზღვევო თანხა ერთ დაზღვეულზე შეადგენს დაზღვეულის მიერ გადასახდელი თვიური საკრედიტო შენატანის ექვსმაგ ოდენობას, სადაზღვევო პოლისში მითითებული ჯამური სადაზღვევო ლიმიტის შესაბამისად.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლის მოთხოვნის საფუძველზე სადაზღვევო ანაზღაურების თანხა ჩაირიცხება დამზღვევის/დაზღვეულის ანგარიშზე და თანხის ჩარიცხვის მომენტისათვის აღნიშნულ ანგარიშზე გავრცელებული იქნება ინკასო/ყადაღა, მზღვეველი პასუხისმგებლობას იხსნის მოსარგებლის წინაშე თანხის მიუღებლობით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებზე.

8.3. სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხა წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალურ ლიმიტს, რომელიც შეიძლება გადახდილი იყოს ამ პოლისის მიხედვით. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისას, მზღვეველის პასუხისმგებლობა მცირდება გადახდილი თანხების ოდენობით და შემდგომი სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას, ასანაზღაურებელი თანხა მიმდინარე სადაზღვევო თანხიდან გამოითვლება. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა პოლისში მითითებული სესხის პერიოდის განმავლობაში და შეწყდება აღნიშნული სესხის დაფარვისთანავე.

8.4. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველი იტოვებს უფლებას სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოქვითოს მიმდინარე წლის სადაზღვევო პერიოდში გადასახდელი პრემიის გადაუხდელი ოდენობა.

8.5. სადაზღვევო შემთხვევისას მზღვეველი აანაზღაურებს შერჩეულ ყოველთვიური ლიმიტის შესაბამის თანხას მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში; თუმცა არაუმეტეს თვეში:

- სესხის შემთხვევაში - დაზღვევის მომენტისთვის დადგენილ ყოველთვიურ სასესხო შენატანს დამატებული 100 (ასი) ლარი / ევრო / აშშ დოლარი (პოლისში მითითებული ვალუტის შესაბამისად);

8.6. სადაზღვევო ანაზღაურება უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუუნარობის შემთხვევაში განხორციელდება მხოლოდ შრომისუუნარობის პერიოდში, მაქს. 6 თვის განმავლობაში და წყდება შრომისუნარიანობის აღდგენისთანავე. გარდაცვალების შემთხვევაში ანაზღაურება განხორციელდება 6 თვის განმავლობაში.

8.7. სადაზღვევო ანაზღაურება იძულებითი უმუშევრობისას იმ შემთხვევაში, თუ დადგა დაზღვეულის ჯამური შემოსავლის შემცირება 30% ან მეტი წილით იძულებითი უმუშევრობის მიზეზით მზღვეველი აანაზღაურებს ყოველთვიური ლიმიტის შესაბამის თანხას არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

8.8. იძულებითი უმუშევრობის შემთხვევაში ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ რეალური უმუშევრობის პერიოდში, მაქს. 6 თვის განმავლობაში და წყდება დაზღვეულის ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებისთანავე.

8.9. დაზღვეული ვალდებულია დასაქმების შემთხვევაში დაუყონებლივ შეატყობინოს მზღვეველს აღნიშნულის შესახებ. მზღვეველი უფლებამოსილია გადაამოწმოს დაზღვეულის დასაქმების სტატუსი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების საშუალებით.

9. გამონაკლისები

9.1. უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა არ ფარავს:

- უბედურ შემთხვევამდე არსებულ ფიზიკურ ნაკლს, ანომალიებს ან დაავადებებს;
- პერიოდის დაწყებამდე მომხდარ უბედურ შემთხვევებს;

9.2. დაზღვევა არ ფარავს გარდაცვალებას, ან შრომისუუნარობას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეული ან პროვოცირებული იქნა ან შედეგად მოჰყვა:

9.2.1. ჩატარებულ ან მიმდინარე მკურნალობას ან ჩარევებს, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ ამგვარი ჩარევა ან მკურნალობა (რადიოდიაგნოსტიკისა და რადიოთერაპიის ჩათვლით) აუცილებელია უბედური შემთხვევის შედეგად, რომელიც წინამდებარე დაზღვევით იფარება;

9.2.2. ინფექციებს, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ უბედური შემთხვევის დროს, რომელიც წინამდებარე პოლისით იფარება, მომხდარი დაზიანების შედეგად დაზღვეულის ორგანიზმში ინფექცია შეიჭრა;

9.2.3. კანის ან ლორწოვანი გარსის უმნიშვნელო დაზიანებები (მცირე ტრავმები კანის საფარველის მთლიანობის დარღვევის გარეშე, რომელსაც თან არ ახლავს შინაგანი ორგანოებისა და ძვალ- სახსროვანი სისტემის დაზიანებები), რომელთა შედეგადაც დაზღვეულის ორგანიზმში მაშინვე ან მოგვიანებით ინფექცია შეიჭრა, არ ჩაითვლება უბედური შემთხვევის შედეგად მიღებულ დაზიანებად, გარდა ცოფისა და ტეტანუსისა;

9.2.4. მოწამვლას, რომელიც მოყვა დაზღვეულის მიერ თხევადი ან არათხევადი ნივთიერების მიღებას;

9.2.5. აბდომინალურ ან საზარდულის თიაქარს, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ ამგვარი დაზიანება შედეგად მოყვა ძლიერ გარე ზეგავლენას, რომელიც წინამდებარე პოლისით იფარება;

9.2.6. მალთაშორისი დისკების დაზიანებას, სისხლდენას შინაგანი ორგანოებიდან და თავის ტვინში სისხლჩაქცევას, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება თუ წინამდებარე პოლისით დაფარული უბედური შემთხვევა წარმოადგენს აღნიშნული დაავადებების პირველად მიზეზს;

9.2.7. ორსულობას ან მშობიარობას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მშობიარობა უბედური შემთხვევით იქნება დაჩქარებული;

9.2.8. გონებრივ, ფსიქიურ ან ფსიქოსომატურ დარღვევებს (დროებითს ან სხვას);

9.2.9. დაზღვეულის ყოფნას ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მოქმედების ქვეშ;

9.2.10. განსაკუთრებული საფრთხის მიმართ შეგნებულ გაუფრთხილებლობას (თუ ეს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით არ ხდება);

9.2.11. დაზღვეულის თვითმკვლელობას ან ამგვარის მცდელობას, შეგნებულ თვითდაშავებას;

9.2.12. დაზღვეულის მიერ ჩადენილ დანაშაულს ან მისი ჩადენის მცდელობას;

9.2.13. დაზღვეულის საჰაერო მგზავრობას, თუ იგი არ არის მგზავრი ან/და არ მგზავრობს რეგულარული/ჩარტერული რეისების შემსრულებელი კომპანიის თვითმფრინავით;

9.2.14. ბირთვული ენერგიით (ბირთვული რეაქციები, რადიაცია, დაბინძურება), ნებისმიერ დაზიანებას ან დაავადებას, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოყვა ბირთვული საწვავით ან ბირთვული საწვავის აფეთქებით გამოწვეულ იონიზირებულ დასხივებას ან რადიოაქტიულ დაბინძურებას;

9.2.15. ომს, ინტერვენციას, მტრის მოქმედებებს, საომარ მოქმედებებს (განურჩევლად იმისა, გამოცხადებულია თუ არა ომი), სამოქალაქო ომს, აჯანყებას, ნაციონალიზაციას ან კონფისკაციას ნებისმიერი მთავრობის ან მისი დავალებით ან სახელმწიფო თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ, ან ნებისმიერი პირების, რომლებიც მოქმედებენ დამოუკიდებლად ან რაიმე ორგანიზაციასთან კავშირში და რომელთა საქმიანობაც მიმართულია დე ფაქტო თუ დე იურე მთავრობის გადადგომაზე ან მის ზეგავლენაზე ტერორიზმის თუ ძალადობის მეშვეობით;

9.2.16. ნებისმიერ ტერორისტულ აქტს; ტერორისტული აქტი გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება, პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური ან ეთნიკური მოტივით სახელმწიფოზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ან/და საზოგადოების ან მისი რომელიმე ნაწილის დაშინების მიზნით გამოყენებულ ძალას ან ძალადობას და/ან მუქარას ნებისმიერი პირის ან პირების ჯგუფის მიერ, მიუხედავად იმისა მოქმედებენ ისინი მარტო, თუ რაიმე ორგანიზაციების ან ხელისუფლებების სახელით ან მათთან შეთანხმებულად. აგრეთვე გამონაკლისს წარმოადგენს ნებისმიერი უბედური შემთხვევა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან რაიმე კავშირშია ნებისმიერ ქმედებასთან, რომელიც ჩადენილია ტერორისტული აქტის კონტროლის, ხელშემლის, აცილების მიზნით ან რაიმე კავშირშია მასთან.

9.2.17. სანაძლეოს, აკრობატულ ოინებს, ნებისმიერი სახის რეკორდის დამყარებას ან მის მცდელობას და მისთვის მზადებას;

9.2.18. დაზღვეულის ყოფნას ან მონაწილეობას პროფესიონალურ სპორტში, აკვალანგით ყვინთვაში, კლდეზე ცოცვაში ან ალპინიზმში, სპელეოლოგიაში, დელტაპლანერიზმში, პარაშუტით ხტომაში, ნადირობაში, რაიმე სახის დოღებში ან რბოლებში

9.2.19. სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაში დაინტერესებული პირის (მოსარგებლის, მემკვიდრის) მიერ, დაზღვეულის წინასწარ განზრახულ მკვლელობას ან მის მონაწილეობას მკვლელობის ორგანიზებაში;

9.2.20. დაზღვეულის ყოფნას ან მონაწილეობას პოლიციის, სამხედრო ფლოტის, ჯარის ან სამხედრო საჰაერო ძალების შემადგენლობაში ან სამხედრო ოპერაციებში;

9.2.21. მზღვეველის მოთხოვნისამებრ სადაზღვევო თანხის ასანაზღაურებლად აუცილებელი დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში.

9.2.22. დაზღვევის ხელშეკრულებით და წინამდებარე დანართით გათვალისწინებული დაზღვეულის ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისას.

9.2.23. დაზღვეულის ჯანმრთელობასთან, პროფესია/საქმიანობასთან ან სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის დამალვის ან გაყალბების შემთხვევაში, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას ასევე მოქმედების პერიოდში და სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგაც.

9.3. იძულებით უმუშევრობის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა, თუ:

9.3.1. უმუშევრობა გამოწვეულია შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვით;

9.3.2. უმუშევრობა გამოწვეულია შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულებით;

9.3.3. დასაქმებულმა თანამდებობა/სამუშაო საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვა;

9.3.4. შრომითი ხელშეკრულება მოიშალა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის;

9.3.5. უმუშევრობა განპირობებულია კრიმინალურ აქტში მონაწილეობით;

9.3.6. დაზღვეული შეეცდება სადაზღვევო შემთხვევის გაყალბებას;

9.3.7. დაზღვეული მუშაობას იწყებს საქართველოს ფარგლებს გარეთ;

9.3.8. დაზღვეულისათვის ცნობილი იყო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ დაზღვევის ძალაში შესვლამდე;

9.3.9. ნებისმიერი ავადმყოფობით განპირობებულ უმუშევრობას (გარდა უბედური შემთხვევებისა);

9.3.10. შრომითი ურთიერთობის შეჩერებისას ანუ ლოკაუტის, გაფიცვისა ან შრომითი ურთიერთობის შეჩერების სხვა შემთხვევებში, როდესაც არ ხდება შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა;

9.3.11. დაზღვეული გათავისუფლდა საპენსიო ასაკის მიღწევისას და ეკუთვნის კომპენსაცია პენსიის ან რაიმე სხვა დახმარების სახით;

9.3.12. დარღვეულია სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკი (გარდა ბანკსა და მზღვეველს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

9.3.13. უმუშევრობა დამდგარია პოლისის გამოწერიდან მოცდის პერიოდის ამოწურვამდე; დაზღვეულებისათვის, რომელთა პოლისიც განახლდება უწყვეტად, განახლებული პოლისისთვის არ იმოქმედებს მოცდის პერიოდი.

9.3.14. დაზღვეული დასაქმებულია ისეთი ორგანიზაციის ხელმძღვანელ პოზიციაზე, რომლის დამფუძნებელს ან თანადამფუძნებელსაც წარმოადგენს იგი ან მისი ოჯახის წევრი*;

9.3.15. დაზღვეული დასაქმებულია ისეთ ორგანიზაციაში, სადაც ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობს მისი ოჯახის წევრი*;

9.3.16. დამზღვევის დასაქმების უწყვეტი სტაჟი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეადგენს 6 თვეზე ნაკლებს.

9.3.17. დამზღვევი დასაქმებულია სახელმწიფო სტრუქტურებსა ან/და ორგანოებში და შეუჩერდა კონკრეტულ პოზიციაზე მუშაობის უფლებამოსილება, თუმცა არიან გადაცემული კადრების განყოფილების განკარგულებაში;

* ოჯახის წევრად ამ მუხლის მიზნებისათვის ითვლება პირის მეუღლე, შვილები მშობლები, მშობლების მშობლები;

10. ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დროს

10.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში დაზღვეული, ან სხვა დაინტერესებული პირი, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა, აცნობოს კომპანიის ცხელ ხაზს, ტელ.: 2 20 33 33.

10.2. იძულებითი უმუშევრობა

იძულებითი უმუშევრობის შემთხვევაში დაზღვეული ვალდებულია აცნობოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ 48 საათის განმავლობაში და არაუმეტეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში წარუდგინოს სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელ შესაბამისი დოკუმენტაცია:

- სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;
- პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით დადასტურებული ცნობა სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იქნას გათავისუფლების მიზეზი (გარემოება, რის გამოც მოხდა დაზღვეულის გათავისუფლება);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- შრომითი კონტრაქტის ასლი;
- ბოლო 6 თვის მანძილზე დამსაქმებელი ორგანიზაციიდან ხელფასის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები: ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, სადაც ერიცხებოდა ხელფასი, ან ცნობა შემოსავლების სამსახურიდან პირის სახელზე მისი დამსაქმებლის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის შესახებ (იმ შემთხვევაში თუ ხელფასი არ გაიცემა საბანკო გადარიცხვის გზით);

  მზღვეველს შეუძლია მოსთხოვოს დაზღვეულს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი/ცნობა ნაწილობრივ ან არ იქნა წარდგენილი, მზღვეველი უფლებამოსილია არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება. სრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირება მოხდება 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

10.3. უბედური შემთხვევის შედეგად შრომისუუნარობის / გარდაცვალების დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საკითხის გადასაწყვეტად, მკურნალობის დამთავრებიდან/ შრომისუუნარობის დადგომიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა, ანაზღაურებაზე პრეტენზიასთან ერთად, მზღვეველს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

- შრომისუუნარობის ფურცელი (საავადმყოფოს ფურცელი ანუ ბიულეტენი) სამედიცინო დაწესებულებიდან, სადაც ტარდებოდა მკურნალობა;
- სამედიცინო ექსპერტის გადაწყვეტილება დროებითი სრული/მუდმივი სრული/ნაწილობრივი შრომისუუნარობის დადგომის შესახებ (ფორმა 50);
- ცნობა უბედური შემთხვევის შესახებ;
- სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;
- დაზღვეულის პირადობის მოწმობა (გარდა დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევისა).
- ცნობა გარდაცვალების შესახებ, სამედიცინო დასკვნა გარდაცვალების შესახებ და მოსარგებლის პირადობის მოწმობა (დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, თუკი ანაზღაურება ბანკის შემდეგ გაიცემა სხვა დაზღვეულის მემკვიდრეზე).

10.4. საჭიროების შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს მოითხოვოს სხვა საჭირო საბუთები. სრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირება მოხდება არაუადრეს 1 კალენდარული თვის განმავლობაში.

10.5. დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზით ანაზღაურებაზე პრეტენზიის შემთხვევაში, გარდაცვლილი დაზღვეულის სხეული უნდა იყოს ამოცნობილი. დაზღვეულის გაუჩინარების შემთხვევა არ განიხილება გარდაცვალებად უბედური შემთხვევის შედეგად.

10.6. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი თვლის, რომ საჭიროა გარდაცვალების მიზეზის, ან შრომისუუნარობის ხარისხის დაზუსტება, მის მიერ მოთხოვნილ ექიმ-ექსპერტს ნება უნდა დაერთოს ჩაუტაროს დაზღვეულს სამედიცინო გამოკვლევა, ხოლო გარდაცვალების შემთხვევაში ჩატარდეს პათოლოგო-ანატომიური გამოკვლევა. ნებისმიერ შემთხვევაში დამადასტურებელ საბუთებს სამედიცინო ცნობების, ანკეტების, დეკლარაციების, ან სხვა სახით, მზღვეველის მოთხოვნისამებრ დაზღვეული/კანონიერი მემკვიდრე წარმოადგენს საკუთარი ხარჯებით.

10.7. წინამდებარე პირობებით დადგენილ ვადაში სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად აუცილებელი დოკუმენტაციის (ამ პირობებით განსაზღვეული ან მზღვეველის მიერ დამატებით მოთხოვნილი) წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა განპირობებულია ობიექტური გარემოებებით.

11. დაზღვევის მოქმედების ვადა

11.1. დაზღვევის მოქმედება იწყება პოლისის გაცემის დღის 24:00 საათიდან და მთავრდება პოლისში მითითებული დაზღვევის დასრულების დღის 24:00 საათზე.

11.2. დაზღვევა შეწყდება:

11.2.1. მოსარგებლის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით ნებისმიერ დროს.

11.2.2. სადაზღვევო პოლისის ვადის გასვლის შედეგად.

11.2.3. სადაზღვევო თანხის ამოწურვის შედეგად.

11.2.4. სადაზღვევო ინტერესის შეწყვეტის შემთხვევაში.

11.2.5. თუ ვადაზე ადრე განხორციელდა იმ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების სრულად დაფარვა, რომელთან დაკავშირებითაც წინამდებარე პირობების შესაბამისად განხორციელდა დაზღვევა, , დაფარვის მომენტიდან დაზღვევა ჩაითვლება გაუქმებულად, თუკი აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიღებული აქვს მზღვეველს „მოსარგებლისგან“ ყოველდღიური ანგარიშის სახით ან/და „მოსარგებლის“ რეალურ გარემოში დაყენებული პროგრამული უზრუნველყოფიდან (LMS) ინფორმაციის გაცვლის სერვისის საფუძველზე.

11.2.6. თუ სს “ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ მიერ განხორციელდა იმ საკრედიტო ვალდებულებათა (კრედიტის)_ მოთხოვნის უფლების დათმობა, რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევა.

12. მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველის სახელით: ---------- **დამზღვევის სახელით:** ----------